



21-რთე მუხლში არის ხსენება მძაბ-  
თგულბისა; და თუ ამას გარდა გამ-  
გობაჲ არის დაარსებული, რატომ  
სიზოგადობის წევრთ ამისი არა შე-  
გვიტყვიარა?

2. გამგეობა ითხოვს სოფლის  
სკოლების მასწავლებელთაგან, სვათა  
შორის: „რამდენჯერ და როდის მი-  
ულიათ წიგნები და სასწავლო ნივთე-  
ბი გაგმეობისაგან და რამდენი ეგზემ-  
პლარი მოუვიდათ (თუ მიუვიდათ?)  
თვათოეული სახელმძღვანელოსი და  
ნივთისა?

თვითონ გამგეობა კითხულობს:  
იქნება თქვენ მაინც განსომდეთ და  
ღმერთს დაამადლეთ, გვითხარით,  
როდის რა შემოგაწიეთა?!

თუ გამგეობა მმართველობის მა-  
გიერად იხსენება, მმართველობას სე-  
კრეტარი ჰყავს \*) და სამწერლო  
აქვს; ერთს კარგი ჯამაგირი ეძლევა  
და მეორეს სახარჯო ფული;—რათა  
თუ საქმე სამწერლოში ისე უთავბო-  
ლოთა სწარმოებს, რომ რომელ  
სკოლას როდის რა გაუგზავნეს, თვი-  
თან კი აღარ იციან და ახლა ამათა  
ჰკითხვენ, როდის რა გამოგვიგზა-  
ვენთა?

გამგეობისაგან ჩვენ არა მოგვესვლია  
რაო, რომ გიპასუხონ, მაშინ რაღასა  
იქტ?

ამა-და-ამ დროს ესა-და-ეს რომ  
გამოგვიგზავნეთ, როგორ მოიხმარეთო,  
ეს რომ გვეითხათ, კიდევ ჰო; თორემ  
„როდის რა გამოგვიგზავნეთა“, რა  
საკითხავია? იმათა ჰსცდით, თუ თქვენს  
დაუდევრობას აშკარავებთ?

3) შემდეგისათვის გამგეობას მას-  
წავლებლებს ვალადა ჰსდებს ყოველ  
წელიწადს მოუთხოვნელად გამოგ-  
ზავონ ხოლმე სამს მუხლში მოხსენ-  
ებული სხვა-და-სხვა ცნობები.

ეს რაღა არის? სასოფლო სკოლე-  
ბის საბრალო ოსტატები თქვენნი

\*) ცირკულარს რომ ყაფშიჲ აწერს  
ხელსა, ეს გვარა წვერთა სიაში კვრსად  
ამოკვირთხეთ და რაგორ არის ამისა  
საქმე?

ნიერს მღენეს..... პირველი თავს  
იკლავს, სიყვარულის გამო, ივან სპი-  
რიდონიხზე კი მღენე თვითონ ამ-  
ბობს, რომ სიყვარული გამომიცხა-  
და; იმის გულის სისუსტე ისეთ ნი-  
რად გამოყვანილია პიესაში, რომ  
მომავალში, მაყურებელის ფიქრით,  
მასი კეთილ-მოზილი პრინციპები  
უნდა გაიფანტნენ და უსათუოდ მღე-  
ნეს ვერ ასცდებია.

წვეანი და ივან სპირიდონიხი რომ  
არ ერიოს ამ საზოგადოებაში, ჩვენ  
გავიგებდით პიესის სახელს, გავიგებ-  
დით რომ წინ წასვლის მაგიერ, უკან  
ვიწვიეთ და ეხლანდელი ჩვენი მდგო-  
მარობა, ცუდად აღზრდის გამო  
მომავლისათვის სიკეთეს არ გვიქადის.  
სამწუხაროდ, ეს სისუსტე ივანესი,  
როგორც განათლებული, გონიერი  
კაცისა გვიმტკიცებს იმას, რომ თვი-  
თონ ავტორსაც ჰსურს, ჩვენი

ატროტების წერას უნდა მოანლო-  
მოთ?

თქვენი პირველი ვალია, რომ  
სკოლებს ხელს უმართავდეთ; მაგრამ  
იმათი თქვენ წინაშე ვალდებულება  
გულითადი უფრო უნდა იყოს და  
არა ბრძანებით: როდესაც ხელს  
უმართავდეთ, ან მაშინვე უნდა და-  
ნახეთ რასაც ვალსა სდებთ, ან იმათს  
ნამუსხედ უნდა მიადგოთ, მოგახსენ-  
ებენ რასმე თუ არა. თქვენ კი მაინ-  
ცა-და-მაინც თვალ-ყურის დევნება  
არ უნდა მოაკლოთ; ტვირთს უნდა  
შეუძლებულებდეთ, რომ დაგიმადლონ  
და ყოველს გაჭირებაში გულდანდო-  
ბით თქვენ მოგმართავდნენ.

ღიდალ სასურველია, რომ ყოველს  
სახალხო სკოლას საზოგადოება ისე  
უყურებდეს, როგორც თავისას; მაგ-  
რამ საკუთარიც რომ იყოს, ან მაშინ  
კი ივარგებს ეგ ბიუროკრატიული კი-  
ლო, რომლითაც თქვენი ცირკულიარ-  
ი არის დაწერილი?

მმართველობის ბატონო წევრო!  
ღარწმუნებულნი ვართ, რომ საზო-  
გადობის წევრნი ყველანი გულის-  
მოდგინებითა ვთხოვენ, ყოველი თქვენ-  
ნი დადგინება და გადაწყვეტილება  
მაშინვე გამოაცხადოთ ხოლმე, რომ  
იმათაც შეეძლებოდეთ დროზედ მო-  
გაწვდინონ თავისი აზრი და იქნება  
უმჯობესი გზაც დაგანახეონ.

მმართველობის მენიხეთ ვარდა,  
ვინც წვერთაგანი ამაში ჩვენ არ  
მოგვიდავება, ალბად თვითონ იტყვის.  
ერთი 126 შემდგენისაგანი.  
22 ნოემბერი, 1881 წ.

ახალი ამბები.

ამ დღეებში დაიწყო საბა სულ-  
ხან ორბელიანის ლექსიკონის ბეჭდა-  
რედაქცია იქნება—როგორც ვაცხა-  
დებდით—თ. რაფ. შრისთვის; ხარჯი,  
რაც დასჭირდება ფულად—ალექსან-  
დრე ვისკოპოვისა, რომელმაც არა  
ერთ გზის დაგვირგვინა მზრუნველო-  
ბა, ღვაწლი და საფასის გამომეტება  
საზოგადო და საქველმოქმედო საქ-  
მეებისათვის.

წინამძღომელ პირებად ჩითვალოს ამ  
გვარი კაცები.

ამ გვარად ეს დრამა არის, რო-  
გორც საფიქრებელია, თითქო რაღაც  
სატირა ახლანდელ ჩვენს მდგომარე-  
ობაზე.

მოხუცი პეტრე ძაკარაძე სამღუ-  
რავს უცხადებს, ჩვენ განათლების  
დედა-ბოძებს; უკანასკნელ მონო-  
ლოგში, როცა წვეანი თავის მოკე-  
ლას აპირებს, ამოიძახებს:—„მე არის  
თქვენი წინ წასვლა? მე არის თქვენი  
განათლება?!” და სხვ.

იგივე სამღურავე, რომლიდამაც  
სჩანს, რომ პატიოსანი მშრომელი  
უნდა იტანჯოს, გზა უტიოს იმ პირთ,  
რომლებიც გაიძახიან მოღურ სიტ-  
ყვებს იმ მიზნით, რომ დაჰფარონ  
თავის საზიზღარი მოქმედება. მაშინ  
როდესაც, თუ ყურადღებას მიექცევით,  
ჩვენი ყმაწვილ კაცების მუშაობის

შხლაც ვისკოპოვის ჰსურს, რომ  
როცა ეს ლექსიკონი გაიყიდება, იმ  
ფულით შემდეგ სხვა რაიმე სასარგებო  
ლო ქართული წიგნი დააბეჭდინოს  
და შემოსავალი იყოს მუდმის ფან-  
და (თანხად) ამავე საგნისათვის.

პეირას, გიორგობისთვის 22-სა, მა-  
ლაქში იყო კურთხევა თფილისის კა-  
თოლიკების ლეთის-მშობლის მიძინე-  
ბის ეკლესიის სკოლისა. ეს სამრევე-  
ლო სკოლა ღიდა ხანია არსებობს  
ჭალაქში, როგორც გვითხრეს 1626  
წლითგან, და მას შემდეგ შეუწყვეტ-  
ლად მუშაობს დღევანდლამდე. სკო-  
ლაში იმოდენა სწავლაა, რაც გიმნა-  
ზიების მოსამზადებელ კლასშია და  
აქედამ მომზადებულს პირველ კლას-  
ში იღებენ.

სწავლა არის ქართულად და რუ-  
სულად. აქვს ორი განყოფილება,  
ერთი ვაჟებისა და ერთი ქალებისა.

დღევანდლამდე შენობა ძალიან  
ძველი იყო და ამის განახლება მოი-  
სურვა მრევლმა და კიდევ შეასრუ-  
ლა. ამ საქმეში მოთავეობა ეკუთვნის  
პატივეცემულ მღვდელს ეკლესიის წი-  
ნამძღვარს დიმიტრი თუმანიშვილს.  
პეტრევე შენობის შრომა და ზედა-  
მხედველობა ჰქონია ძოსტანტინე ზუ-  
ბალოვს. ხარჯი ეკუთვნის ეკლესიის  
ძმობას, რომელმაც მისცა 27,000  
მანეთამდე.

შენობა კარგა მოზდილი ორ სარ-  
თულიანი სარდაფით სახლია. შრის  
სართულში ვაჟების სკოლაა, მეორე-  
ში ქალებისა. ორსავე სკოლას ნას-  
წავლი და მომზადებული მასწავლებ-  
ლები ჰყავს, შეუძლებელთა შეიღებს  
უფასოდ იყვანს და სასწავლო ნივ-  
თებს და წიგნებს აძლევს. წელიწად-  
ში ამ სკოლას უნდება ხარჯი, რო-  
გორც გვითხრეს, 3,000 ვიდრე 4,000  
მანეთამდე. ჭება და დიდება ვინცა  
შრომობს ამ სკოლისათვის და ლა-  
რითა შემწეობისათვის.

ბავლო კვირის პარასკევს, 20 ამ  
თვეს, შეითან ბაზარს იქით, საცა მა-  
რანცოვის ქუჩა იწყება ხალათოვის

შედგეს, მეცადინეობას, ჩვენი ლიტე-  
რატურის გაუმჯობესობას, ერის გა-  
ნათლების თან-და-თან გავრცელებას  
და სხვ. და სხვ., ჩვენ ვხედავთ, რომ  
ჩვენი „ნაბიჯი წინ“, სრულიადაც  
ისეთი რამ არის, რომ იმაზედ დაცინე  
შეიძლებოდეს. თუნდაც ამ გვარი დაცი-  
ნება საჭიროც იყოს, მაინც საშუალე-  
ბა, რომელიც ავტორს მიუღია, სრუ-  
ლებით თავის მიზანს ვერ მიადწევს.  
თუ რამდენიმე სუსტი პირნი, უცვინ-  
დებიან გარყვნილ კნინა მღენეს  
ბჭყალეში, აქედგან კიდევ ის არ  
მტკიცდება, რომ დანარჩენი ნამდვილი  
მუშაკნიც იმდენად ხასიათ გაფუჭე-  
ბულნი იყვნენ, რომ გარყვნილებას-  
თან ბრძოლაში გამარჯვებულნი არ  
დარჩნენ.

სხვათა ხალხის და ჩვენი შინაური  
ცხოვრების მაგალითებიდან, ჩვენ არა  
ერთხელ ვხედავთ იმისთანა შემთხვე-

ქარვასლის წინ ძალიან სახანავი იყო.  
მუხაში დიდ ძალიან თანთარნი ხანხი  
იღვა და ბალკონებზე და ხანხი ხანხე  
ყო. ხალათოვის ქარვასლის ეზოში  
ყიწილბაშის თათრები ხდილობდნენ  
შაჰსეი-მაჰსეის დღესასწაულსა. ბა-  
შიშველებულებს წელამდე ეჭირათ  
ხმალ-ხანჯალი და იცემდნენ თავ-  
პირში და გულზე, ჩამოსდიოდათ  
წურწურით სისხლი და თან გაფით-  
რებით იძახდნენ „შაჰ-სეი! მაჰ-სეი“. ეს  
სიტყვები ალიის მაჰმადიანების  
წმინდანების სახელებია, რომელთაც  
წამება მიიღეს. შიზილბაშებში ძალიან  
იციან ამ ცერემონიის გადახდა, თვით  
ბაქოშიაც ქუჩაში დადის ამისი პრო-  
ცესია. აქ, ჭალაქში სიარული აკრძა-  
ლული აქვთ. ამიტომ ქარვასლიდამ  
დასისხლიანებულები ღონე მიხდი-  
ლები იქვე პირდაპირ წოვიანოვის  
აბანოში შედიოდნენ.


დღევანდელს „ბავკაში“ დაბეჭდი-  
ლია განცხადება, რომ მომავალს  
წლიდამ ჩვენს ქალაქში გამოვა ახა-  
ლი საოხუნჯო და მხატვრობითი  
კვირის გაზეთი, სახელად „Гүсли“,  
რომლის რედაქტორად და გამომ-  
ცემელად იქნება ბ. ი. თხორევესკი  
და უმთავრეს თანამშრომელად ბ. ა.  
ა. ზაღბი. ძარიკატურები კი იქნება  
ჩემოდანოვისა და სტრუენასი (ხვე-  
ლონიძე).

ბავკასიის სამასწავლო მხარის უკ ა  
ნასკენს (№ 10) ცირკულიარში,  
სხვათა შორის, დაბეჭდილია, რომ  
თფილისის ნიკოლაევის ორ-კლასიან  
სასწავლებელში წელს 172 ყმაწვილ-  
მა შემოიტანა მიღების თხოვნაო,  
მაგრამ ამათში მხოლოდ 45 ყმაწვი-  
ლი მიიღეს შავირდად და დანარჩენ  
127 ყმაწვილს-კი, უადგილობის გამო,  
უარი გამოეცხადა მიღებისა!

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქა-  
ლაქის სახელოსნო სასწავლებლის  
მასწავლებლებს განუზრახნეთ ახ-  
ლად გარდაცვალებულის ამ სასწავ-  
ლებელში მყოფ მასწავლებელ ძოს-  
ვებსაც, რომ ქალების მიმდევნს ყმა-  
წვილ-კაცებსაც თავი გამოუჩინათ  
საზოგადო ქვეყნის საქმეებში.

აქტიურთ თამაშის გარჩევასთან,  
ჩვენ უნდა სამართლიანად ვსთქვათ ბ-  
ნ საგარეოზედ, როს იმან ძალიან კარ-  
გად იცის მოთამაშეთ ღონე და პიე-  
სის დაწერაში ძალიან მარჯვედ უხელ-  
მძღვანელებია იმათის ნიჭით. მხო-  
ლოდ უკანასკნელს მონოლოგში მე-  
ტად ბევრი მოითხოვა ბ-ნ ალექსევე-  
მესხივისაგან.

საზოგადოების ყურადღება დაიმსა-  
ხურეს ბ. ავალოვისამ და ალექს-მეს-  
ხივმა. მაგრამ ეს მოწონება თამაში-  
სა და ბრავო ძალიან საშიშარი არის  
და შეიძლება დამღუპველიც შეიქნეს.  
ამ წარმოდგენაზე ავალოვისა-ხერ-  
ხეულიძე და მესხივი ერთობ შევიდ-  
ნენ როლში, მომეტებული გრძობა  
გამოიჩინეს, მაგრამ ხელოვნება კ



ტანტინე... აცვლიშვილისათვის პანა-  
შვილი გარდაიხადონ. ამას გარდა იმა-  
ვე მასწავლებლებს განზრახვა აქვთ  
პირველსავე საზოგადო პედაგოგიურ  
კრებაზედ დადგინონ, იხადონ ხვედ-  
რი ფული და ამით აძლიონ ამ სას-  
წავლებლის ერთ ლარზე ქართველ  
მოსწავლეს მიცვალებულის სახელ-  
ზედ სტიპენდია

\*\*\*  
მრუბათს, 23 ვიორგობისთვის,  
ლამით მფილისში მშენებრად მო-  
ხანდა მთვარის დაბნელება. სიბნელე  
თან-და-თან შორდებოდა აღმოსავ-  
ლეთის მხრიდან სანამ სულ არ გა-  
დაიარა, თითქმის საათის თერთმეტის  
ნახევარზედ.

„დროების“ კორექცია

ს. საბუშ, 16 გიორგობისთვის ამ  
გიორგობისთვის პირველს, კვირას  
სალამოს ერთი საბუელი გლეხი, გვა-  
რად ხ—შვილი, (იწერდა ჯვარსა  
ენისლელისვე გლეხის ქალზედ. წესი-  
საებრ მისისა, მისლის მღვდელმა მ.  
დ. ჩ—ვმა გამოართვა კიდევ ერთი  
თუმანი ოთხი დღის წინედ ჯვარის  
წერისა.

ბგერ მოვიდა დრო და მაყრული;  
მზე ჯერ ისევ მალლა დგას, მობრძა-  
ნდა მეფე დედოფლითურთ ეკლესიის  
კარებთან. მაგრამ დახე უბედურობას,  
საყდრის კარები დაკეტილია და დია-  
კვანი დარაჯობს.—რა ამბავია? რა  
არის?—მღვდელმა ბრძანა, ამბობს  
დიაკვანი, საბუელს ჯვარს არ დაეწერ  
მინამ მისი მოყვარე ენისლელი შვი-  
ლი მამის სამარხს ერთ თუმანს არ  
მოამცემსო. ბლენნი მივიდნენ მღვდე-  
ლთან და სთხოვეს ჯვარი დაწერა,  
რადგანაც იმიტომ მისცეს წინათვე  
ერთი თუმანი ჯვარის საწერი, რომ  
არ დაებრკალდებინა, ან საბუელი რა  
დამნაშავეა, თუ ენისლელს სამარხის  
მიცემა დაუგვიანებია. მოძღვარმა  
უბრძანათ: „—მე არ ვიცი ვგენი,  
წადით და ჩაუსხედით იმ თქვენ მო-  
ყვარეს და სანამ არ გამოართოთ ჩე-  
მი შრომის ფასი (?), ნუ მოეშვებით,  
მომიტანეთ და მაშინ დაეწერ ჯვარს.

ნაკლები... აქტიორისათვის საჭიროა  
ყველაზედ პირველად მუშაობა, მუ-  
შაობა და კიდევ მუშაობა...

თუ აქტიორს კარგად შემუშავებუ-  
ლი არა აქვს თავის როლი, იმას შე-  
ეძლება მართა დროებით დაიმონა-  
ვოს საზოგადოება და დანარჩენ ად-  
გილებში კი იმდენი ძალა არ დარჩე-  
ბა, რომ მის წარმოდგენით ვინმემ  
ისიამოვნოს; და საბოლოოდ კი ამ  
გვარი ძალა მიხილილი აქტიორები გა-  
მოუღებარნი გახდებიან.

რომ ეს აზრი ჭეშმარიტია, მოვიყ-  
ვან დიდებულ ფიზიოლოგისა და  
თეატრის საქმის მკოდნის ჯ. ლუისის  
სიტყვებს. მრთს ადგილას ის ამბობს:  
„შთავონების და დროს მინდობა  
აქტიორის მხრით იმასა ჰკავს, რომ  
კაცი დამტყრეულ ნაგს მიენდოს.“  
შემდეგ გამოჩენილის აქტიორის ლუკ-  
კას თამაშობაზე ამბობს „ჩაუსტში“.

რალა გავაკიან ურო, თუმცა ბევრი  
ვევდრენ, ეხვეწენ, ხელ წერილიც  
აძლიეს მალე მოგართმევთო მღვდე-  
ლი მინც არ დათანხმდა მეფე და დე-  
ლოფალი კი დგანან საყდრის კარებ-  
თან სიცივეში და ელოდებიან, ან  
ეხლა გვეშველება, ან ეხლოა, მაგრამ  
მათ ჯერ, უმანკობს, როდი გაუგიათ  
რომ მათი სულიერი მამა ისე არა  
ჩქარობს მათთვის, როგორც ისინი.

ძიდევ დაღამდა. ჰაი იქით ჰაი  
აქით... ბევრი აყალ-მაყალი... ბო-  
ლოს საქმე იქამდინ მივიდა, რომ  
წმინდა მამა უკადრისის სიტყვებით  
შეეხრა მეფე-დელოფალს... გლეხებმა  
ბევრი უთმინეს და მერე იმათაც რა-  
მდენიმე სიტყვა, ამ გვარივე სასიამო-  
ვნო უძღვნეს ამ სულიერ მამას.

აი ამ დროს საღლა უშოენია აზ.  
ხ—შვილს ცხრა მანეთი და ათი შა-  
ური დი მოართვა მღვდელს რომე-  
ლმაც წყველით და უშვარი სიტყვე-  
ბით ეს ფული ბნელაში გარეთ გა-  
დაუყარა, ათა შაური რად აკლიაო  
და გამოაგლო გარეთ სახლიდან. დაი-  
წყო კიდევ ორსავე მხრივ ლანძღვა,  
ასე რომ ამ სულიერმა მამამ, რომე-  
ლიც უბრალოდ მომეტებული ჯაფი-  
საგან არ არის ჯან-გატეხილი,  
იმიშვლა ანაფორა, დაუძახა თავის  
ბიჭებს და დამკლავებული დერია  
ხალხსა თვითონ მუშტით და ბიჭები  
კეტებითა... ტყაბ-ტყუბ... და ერთი  
გლეხი ძირსა გორავს... ზუმპუ-ზუმპუ  
და მეორე საბუელი გლეხი თავ-გა-  
ტეხილი მიჰყავთ, რასაკვირველია;  
თანაც ეს წმინდა მამა შეაქცევდა  
მცქერალთ თვისი საყვარელი ცუდის  
სიტყვებით. ხალხმა ხელი სრულიად  
არ გამოიღო და დადუმდა პირად,  
თუმცა გულით კი რა მოგახსენოთ.  
ამასობაში მოაწია შუა ღამემ და  
მეფე და დედოფალი, საყდრის კარებ-  
თან ატუხულები, სიცივით ფიხნდ-  
ბოდნენ. საქმე იმით გათავდა, რომ  
თავად ჯორჯაძემ მისწერა ბარათი  
მღვდელს და სთხოვა ჯვარი დასწე-  
რო; მხოლოდ მაშინ შეასრულა  
მღვდელმა წმინდა საიდუმლო. რამ-  
დენი სხვა ამისთანა ამბები ახსოვთ

„ლუკა, რომელიც ადრე სუსტი,  
ძველებურის წესის აქტიორის იყო და  
არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენ-  
და მაყურებელზე, ორის წლის გულ-  
მოდგინე მუშაობის შემდეგ ისეთ  
აქტიორად გადიქა, რომელსაც გრძო-  
ბაც ეტყობოდა სცენაზე, სინამდვი-  
ლეცა და თავისებური თამაშიც; იმან  
შეისწავლა გამოთქმის საიდუმლოება,  
და როცა ამ გზას დაადგა, შემდეგ  
შეეძლო შთავონებისათვის ალაგი  
მიეცა.“

ლუისის მოჰყავს, ამ საგნის შესახებ,  
შემდეგი სიტყვები შრანტუზულ მი-  
ატრის გამოჩენილ აქტიორის და მას-  
წავლებლის სანსონისა:  
„ყოველივე მოიფიქრეთ, (ეუბნება ის  
მოთამაშეებს), ყოველი მდგომარეობა და  
სიტყვა თქვენის როლისა შეისწავლეთ,  
ყოველთვის წინათვე გასინჯეთ. გულ-  
მოდგინე შრომა მსხვერპლს მოგახსენებთ

მისილენებს ამ მოძღვრისაგან, ე-ს-  
თვის რა საჭიროა გაიკოს?.. მს მი-  
ტომ ვსთქვა, რომ ვისაც ყურები  
აქვს, ისმინოს და ვისაც თვალები,  
იხილოს და გამოიძიოს, მართალია-  
თუ არა, თორემ იქნება წესის დამ-  
ცველები დასჭირდეთ.

უსხოეთი

(გაზეთიდან)

საზრანბეთი. რაც კი ამ უკანას-  
კნელ ხანებში უკმაყოფილება ხდება  
საფრანგეთში მმართველობასა და სა-  
სულიერო წოდების შუა, სულ იმას  
უნდა მიეწეროს, რომ სახალხო გა-  
ნათლებლის მინისტრად საფრანგეთმა  
დანიშნა პოლბერი, რომელსაც ფრან-  
ცუზის სამღვდლოება და საზოგადოდ  
კლერიკალები უღმერთობას სწამებენ.  
საფრანგეთის იმპერიის დროის მი-  
ნისტრი მძილ მლივიე, რომელიც,  
როგორც ამბობენ, ახლაც კარგ მე-  
გობრად ითვლება საფრანგეთის პრე-  
ზიდენტის ბრევისა, წასულა რომში  
პაპთან. მას მინდობილი აქვს, საი-  
ღუმლოდ მოელოპარაკოს პაპს ახლის  
პირობის შესაკრავად მასთან საფრან-  
გეთში სარწმუნოების საქმის შესახებ,  
რომ ამით დაამშვიდონ ზემოხსენე-  
ბული უკმაყოფილება სასულიერო  
წოდებისა.

პოლბერმა უთხრა მასთან გამოც-  
ხადებულ უნივერსიტეტის წევრთ, რომ  
მის უწყებაში არ შედის სარწმუნოე-  
ბის შევიწროება, ის მხოლოდ ეცდ-  
ება დაიცვას წესები და ინტერესები  
საფრანგეთისა იმ გვარად, როგორც  
ამას უჩვენებს პაპთან შეკრული პი-  
რობა (კონკორდატი) ეკკლესიასთან  
დამოკიდებულებისა.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა  
მსგლელობაში ჯერ-ჯერობით არა-  
ვითარი ახალი საყურადღებო ცვლი-  
ლება არ მოუხდენია ახალს სამი-  
ნისტროს.

ოსგალეთი. წარსულ ომიანობის  
რუსეთის ხარჯის დაკმაყოფილებაზედ

თქვენ; ძალა-დაუტანლობა სცენაზე საუ-  
გეთესო სამკაულია ნიჭიერ მოთამაშისა-  
თვის. მხოლოდ კარგად შესწავლული  
თამაში შთავონებულ და გრძობაერ თა-  
მამად გვეჩვენებს ჩვენ“.

მალბ. ავლოვისა და ბ. მესხიევი  
სწორედ ამ გზას ადგინან: ისინი ზო-  
გიერთ მომენტებში კარგი არიან, მაგ-  
რამ მალე ილაღებიან და სუსტდ-  
ებიან. ჩვენ ამას იმიტომ ვამბობთ,  
რომ ქალბ. ავლოვისა და ბ. მეს-  
ხიევი თან-და-თან იმსახურებენ საზო-  
გადოების ყურადღებას და მასთან  
სრული ღირსნი არიან რეცენზენტი-  
საგან ყურადღებისა.

მაგიერად ქალბ. საფაროვისამ ამ  
სალამოს სწორედ დიდი როლის შე-  
მუშავება გამოიჩინა ვოდვეილში „ბა-  
ვუში“.  
მბ. საფაროვისამ პირველად გვიჩ-

მსმალეთისაგან კიდევ არ გათავებუ-  
ლა რუსეთსა და მსმალეთს შუა-მრ-  
ლაპარაკება. თუმცა მსმალეთმა თით-  
ქმის გათავა თავის მოვალეთა დე-  
ლეგატებთან საქმე, მაგრამ მას ვში-  
ნიან, რუსეთის გამოსარჩლებამ არ  
დაფუშოს ეს გაწყობილი საქმე, რო-  
მელსაც მხოლოდ აკლია ხონტქრისა-  
გან ხელის-მოწერით დამტკიცება.  
რუსეთის ელჩმა, ნოვიკოვმა, გამოუც-  
ხალა მსმალეთის მმართველობას, რომ  
ის, რაც ძალი და ღონე აქვს, წინ  
აღუდგება მსმალეთისაგან თავის მო-  
ვალეებთან საქმის გათავებას, სანამ  
მსმალეთის მმართველობა არ დააკმა-  
ყოფილებს რუსეთს ვალს რომელიმე სპე-  
ციალური წყაროების შემოსავლიდან.  
ხონტქარი გაჭიფრებულს მდგომარეო-  
ბაშია. მან ან უნდა მოაწეროს ხელი  
ამ თითქმის შესრულებულ საქმეზედ  
და ან უარაჰყოს რუსეთის მოთხოე-  
ნილება და წინ-და-წინ მოემზადოს  
იმ შედეგისათვის, რომელიც, უეჭვე-  
ლია, ამ უარის-ყოფას მოჰყვება. ისეცა  
ჰსურს შეიტყოს ხონტქარმა, გამოე-  
სარჩლებიან თუ არა მას ამ საქმეში  
მეროპის სახელმწიფოები.

საბერძნეთი. საბერძნეთის შინაგან  
საქმეებში დიდი არეულ-დარეულობაა  
ამ ვამად. საერთო მღვდლვარება მოახ-  
დინა პარლამენტის დათხოვნამ. პარ-  
ლამენტი, რომელსაც სახელმ წიფო  
საქმეები სრულიად მშვიდობიანად  
მიჰყავდა, ეხლა თითქმის მოწინააღმ-  
დეგედ ვაუხდა მმართველობას. მეთა-  
ურად და ხელ-მძღვან-ლად პარლამენ-  
ტისა არის ტრიკუპისი, რომელმაც  
რამდენიმე სტატია დაბეჭდა თავის  
გაზეთში იმის შესახებ, თუ რა ბოლო  
მოელის საბერძნეთს. ბევრს შემდეგი  
აზრი აქვთ საბერძნეთის მომავალზედ:  
ისეთ რიგს მმართველობისაგან მიეშუ-  
რება საბერძნეთი, რომელსაც სახე-  
ლი თუ არა, ხასიათი, უეჭვე-  
ლად, რესპუბლიკური მმართველობისა  
ეკმნებაო; ახალი პალატა იქნება და-

ვენა ჩვენ, რომ ყველა საშუალებანი  
მოეთქრნა გულ-წრფელი და ბრჩა  
ქალის გამოხატვისათვის. საზოგადოე-  
ბამაც სწორედ რომ ღირსეულად და-  
საჩუქრა ჩინებული თამაშისათვის.

დანარჩენ მოთამაშეებზე არას ვიტ-  
ყვით იმას გარდა, რომ ყველანი ისრე  
თამაშობდნენ, როგორც უთამაშნიათ  
ისეთივე ნაკლულევენებით და ისეთი-  
ვე ღირსებებითვე.

აბოლოს ვისურვებთ, რომ ბატ.  
სავარელმა განაგრძოს წერა სცენი-  
სათვის; ხანგრძლივი მუშაობითა და  
მოთმენითა ბ. სავარელს შეუძლიან  
სარგებლობა მოუტანოს ჩვენს სცე-  
ნას.

ემბე.



მაფუძნებელ კრებად; კაროლს აც-  
დებდა უფლება პარლამენტის დათხოვ-  
ნისა და ეს უფლება, პარლამენტისაგან  
ნაღის შესრულები სემედდგ, თვით კრე-  
ბის თავს-მჯდომარეს მიენიჭება.

### ბანსხალბანი

ჩაის მცოდნე ჰირმა და მსურ-  
ველმა უნდა იეიდოს ჩაი, ჰირ-  
ველი მოკრეფილისა ინგლისის  
ბალაზიაში 1 მან. 20 კაზ. და  
2 მან. და შეადაროს ჩაის 1  
60 კაზ. და 3 მან. უკვლავს,  
ქ. თბილისში და გაიკებთ რა-  
მდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის  
მაღაზიაში. ამის კარდა მაღა-  
ზია აძლევს ჩაის წმინდა წო-  
ნით უქაღალდოთ და უტყვიოთ.  
(100—83)

ლონდონის ბალაზია კომერციულს  
ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-  
გასასყიდლათ ჰირველი მოკრეფილისა და  
საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მა-  
გალითებრ: თოფებისა, რეკლავებისა,  
კლიტებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა,  
დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შო-  
კოლადისა, კაგოსისა, დუბებისა, საპონი-  
სა, შიშო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქა-  
ღალდისა, კარანდაშებისა, კაღმებისა, უნა-  
გრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშნი-  
ვინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მა-  
კინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად  
კანფეტების და ბატუკერის და კამპ. მუ-  
რებისა, აგრეთვე ჩუღებისა და წინდუ-  
ბისა ნოტინგჰამიდან. ნამდვილი ჭაგანს  
გარეუბი.  
(100—46)

თექვსმეტ ოქტომბრიდან ჩემს  
ხელში

### ბადმოვილა ცენზორალური სასტუმრო,

რომელიც არის მიხაილავის ხიდის  
ეურში, ვარანტოვის მეჯლის ჰირ-და  
ჰირ, დინათანსკისა და ნარმიანოვის  
სახლებში. სასტუმრო არის ჩინებულად  
მართული, აქვს საკმაო რიცხვი ნომ-  
რებისა ფასად მანეთიდან 5 მანეთამ-  
დე. ბუფეტისა და მოსამსახურისა  
ყველანი გამოყოფილი იქნებიან. სრუ-  
ლი იმედი მაქვს, რომ თბილისის  
პატივცემული საზოგადოება საჭირო-  
ებისამებრ მომართავს ჩემ სასტუმროს,  
რომელიც მის და სასამოგონოდ ყვე-  
ლაფერით შემეძვირ და უსათუოდ მისს  
ეურადღებას დაამსახურებს

სადილი და ვახშამი მსურველთ  
შეუძლიან მიართვან გარიგებისამებრ  
ყოველ-დღეობით ან თვეობით ძრადელ  
ხელ-მისაგემ ფასად.  
სასტუმროს გამგე  
(15—11) ლევან ოლახერაშილი.

თანახმად სასოფლო კრება-  
თა გარდაწვევებისა, წერა-  
კითხვის საზოგადოება მომა-  
ვალს 1-ს იანვრიდან ხსნის ორს  
სასოფლო სკოლას, ერთს თო-  
ნეთში და მეორეს წინარეხში და  
მათთვის ექებს მასწავლებლებსა.

მასწავლებლის თანამდებობის  
მსურველთ უნდა მოკმაბრონ  
თხოვნით ხსენებულს საზოგა-  
დოების მმართველობას.

მასწავლებელს ექნება წელი-  
წადში ოც და ათი თუბანი,  
შემა და მოსამსახურე.

მმართველობა საზოგადოებისა  
იმყოფება მთაწმინდაში, სევის  
ქუჩაზედ, ფარესაძეილის სახ-  
ლში № 9 (5—5)

### მოწმობა

მოწმობა ესე მიეცემის თფილისის  
გუბერნიის საქიმო განყოფილებიდან  
თფილისის მეორე გილდიის ვაჭარს  
სამსონ მიხაილის-მის ძღებროვს, რომ  
პროვანსისის ზეთი, რომელიც მზადდება

მის ქარხანაში მედიკურის გამოკვლევის  
შემდეგ, აღმოჩნდა კარგის ხარისხისა,  
რასაც სელის მოწერით და ბუჭდის დას-  
მით ვამტკიცებთ ენკენისთვის 11-ს  
1881 წელს ქ. თფილისი. თფილისის  
გუბერნიის ექიმის თანამდებობის აღმა-  
სულებელი სტატუსი საგვეტნიკი.

3. პარპოვიჩი.

აბასთანავი ვაცხადებ, რომ მე  
თითონ ზასუსს ვუკებ ჩემი ქარხნის ზე-  
თის სიკარგეში იმ ჰირთ, რომელიც  
მის იეიდიან ჰირ და ჰირ ქარხანაში, ანუ  
საღდათისზარში № 11, სადაც ისეიდება  
კერძოდ ჩემი ფირმის ზეთი.

### კოპირი.

აჭამეთ თქვენ საქონელს ჩემი ქარხნი-  
სა, რომ ათ დღეში შესანისავად გავი-  
სუქდეთ; საქონელი იფუთა ათი მარტი  
ყოველ კამისას მტკიცედ და მსწრაფ-  
ლად ვასრულებ. ერეკის ქუჩაზედ, ჩემს  
საკუთარ მამულში. (5—3)

ინგლისის ბალაზიაში ახლად მი-  
ღებულნი დიდ ძალი ჩაი პირველი  
მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე  
სხვაგან. იქვე იქილება: ზარესინა 40  
კაზ. დაწებული; სტაქენი, ბაკლები  
10 კაზ—დამ; პარნოსები 5 კ.—დამ,  
მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად  
და სხვ. (100—36)

## ანგარიშის ელგოგარობა

იანვარ კასუმოვის და კამპ. სავაჭრო სახლისა  
1 ნოემბრისთვის 1881 წ.

ღებები	მან.		კრები	მან.	
	მან.	კ.		მან.	კ.
ნაღდი კასსაში	1,475	60	თავნი ფული ამხანაგო- ბისა	84,100	„
% ქაღალდები ამხანაგო- ბის საკუთრება	25,275	88	ახვარში თავნი ფულისა 1880 წლიდან	73	57
სწავილ მომდ. ანგარ. კომერც. ბანკში % ქაღალ- დებით უზრუნ.ყოფილნი	1,500	„	— 1880 წლის მიუტყ- მელ დივიდენდისა	160	18
უბრალო მომდ. ანგ. კო- მერც. ბანკში	700	„	— სწავრო ფულისა თფ- სურთი-ერთო ბანკისა 1880 წლის	3	37
საწვერად შეტანილი თფ. საურთი-ერთო ბანკში	30	„	— საზოგადო სარგ. შე- მოტანილი	14,462	74
გაქსილებით გაცემული ფული 2 და 3 თავების სელის-მოწერით	105,582	15	ფულის შემტანთა მიმდ. ახვარში %	16,156	25
პროტესტინი ვექსილები % ქაღალდების გირაოთ გასესხებული	1,938	24	— მიუტყმელ % შარშან- დელ შესხულ ფულისა	„	35
საქონლის გირაოთ გა- სესხებული	16,411	65	— სწავ. მომდინარე ან- გარში % ქაღ. გირაოთი	13,924	„
უგან დასაბრუნებელი სარ- ჯი	7,786	05	— ბანკებში გადაგორავუ- ბა % ქაღალდებისა	10,350	„
% მიცემული % ქაღალ- დების მეორედ დაგირავუ- ბისთვის	1,227	74	— თფ. კომერც. ბანკში ვექსილების დაგირავ.	3,300	„
— ვექსილების დასავი- გებლად	241	54	— ვადებით გაუდივის- გან % ქაღალდებისა 1881 წლის	4,083	„
— სწავილურ მომდინარ- ე ანგარში	291	18	— % სხვა და სხვა აშვარციებისა	20,190	71
— დროებით შესანასად შეტანილ ფულისა	167	47	— ჯარბი ვალისთვის დროზე შემოტანსლობი- სთვის	3,591	81
— მოთხოვნადინ შეტა- ნილ ფულისა	144	63	— შოდრადებისა	883	55
— მომდინარე ანგარში- სა შირობით და შესანასი	507	11	— გარდაცვალი ჯამი	1,000	20
— უძრავ მამულების იჯა- რისა	37	64	— სასწავლებლისათვის	24	52
— მოძრავი ქონება ამხ- ანგობისა	1,631	22	ფონდ.	54	28
— % მოგების ბილე- თების სტრანსისა	45	20	სულ	172,368	53
— მიმდინ. სარჯი სმეტით	7,246	33			
სულ	172,368	53			

(3—2)

## ი. მურადავის წიგნის ბალაზიაში ქუთაისში

მულამ არის დამზადებული საკმაოდ  
ყოველ გვარი სასწავლო წიგნები,  
რომელნიც კი მოეთხოვებად საეაქო  
და საქლებო გიმნაზიებში, სახალხო  
და სამოქალაქო სკოლებში მოსწავ-  
ლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სა-  
მოსწავლო და სკოლაში სახმარო  
წიგნები და მოთხოვნილებისა და-  
გვარად დახანული რეეულები, ასი—  
5 მანეთი., მუზიკალური ნოტები,  
სხვა და სხვა საწერი წიგნები და მა-  
სალები უფრო იაფ ფასად, ვიდრე  
სხვაგან.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთ-  
ხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ  
ასრულებს და გამოგზავნის პირვე-  
ლივე წამომავალი ფოტითა.  
(50—20)

### ისყილება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას  
ჩაი, კაგო, შეკოლადი, ბისკვიტი, მუ-  
რანა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქენი,  
ბაკლები, თეფში, ჩაინიკები, სულოკე-  
ბი, ფოდნისები, ჰირის-სახანი, კლიტე-  
ები, სამურველი, ტანისმოსის საკიდი,  
კოვზები, დანები, კაღმები, ქაღალდი,  
კანკურტები, რეეულები, კარანდაშები,  
თოფები, რეკლავები, კრავები, ზღაშ-  
ხები, ვანები, ქამრები, საყურები, კლი-  
ონკა, უნაგირები, ლაგები, უთოები,  
ტანტები, ჰირისსოცი, ცხვირის-სახოცი,  
ხულები, ტუალეტის საპონი, დუბები,  
შარბათი, ციტატმანგუნია, ქინას ღვი-  
ნო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და  
ათასი სხვ. რამეები, — ინგლისის ბა-  
ლაზიაში. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარ-  
დათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58  
მან. და გირავანობით: 1 მ., 1 მ. 10  
კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60  
კ., 1 მ. 80., და უბირველი ხარისხისა  
2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ  
(choke bore) George Dau-ს ფაბრი-  
კიდან—120 მან. რეკლავები 4—34  
მან. და ბუდდოვისა 11—20 მ. ქაღის  
უნაგირები 65 მან-დამ.; შეჭილდის და-  
ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კაზ-დამ  
დუჟი, ალბომები ნახევარ ფასად, ფილ-  
ტრები და სხვ.  
ყველაზედ უძრავესი ამოწვევა თოფე-  
ბისა და რეკლავებისა თფილისში.  
(100—37)

### ინგლისის ბალაზიაში აწერუნის გალერეისში (Maison de confiance)

შეადრეთ ჩვენი ჩაი ჩაის ყველგან  
— 1 მ. 10 კაზ. — 1 მ. 40 კაზ.  
— 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაზ.  
— 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაზ.  
— 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაზ.  
— 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაზ.  
სუფიკა 2 მანეთ. — 3 მანეთ.  
ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან გი  
ქაღალდით.  
(100—61)